№ 06/08 758
„11" 06 2013

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ მარინე მიზანდარს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორს
ბატონ ზერაბ ბოჭოიძეს

ქალბატონო მარინე,

ვიგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი, 2004 წლიდან გერმანიის სამთო მუზეუმთან ერთად აწარმოებს არქეოლოგიურ და ინტერდისციპლინარულ სამეცნიერო კვლევებს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ადგილ საყდრისში, სადაც მიკვლეული იქნა მსოფლიოში უძველესი ოქროს სამთამადნო წარმოების კერა.
2004-2006 წწ. ეს პროექტი ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ და გრძელდება 2007 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ მუზეუმის ეგიდით, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა არქეოლოგიის ცენტრი. ამ პერიოდიდან მოყოლებული განხორციელდა ორი სასწავლო-სამეცნიერო პროექტი: 1. "საქართველოში ინტერდისციპლინარული კვლევების გააქტიურება და ახალი მეთოდების დანერგვა სამთო არქეოლოგიასა და არქეომეტალურგიაში" და მეორე "ოქრო საქართველოში", რომელიც ფოლკსვაგენის ფონდის მიერ იქნა დაფინანსებული.
2004-2005 წწ. ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოების საფუძველზე 2006 წელს საყდრისს, რომლის მნიშვნელობაც აღიარებული იქნა მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო წრეების მიერ, სრულიად სამართლიანად, მიენიჭა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.
პროექტი არაერთხელ იქნა პრეზენტირებული საქართველოსა და უცხოეთის სამეცნიერო წრეების წინაშე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, კავკასიის მინერალური ნედლეული ინსტიტუტი (КИМС), ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმი, ბოხუმის რურის უნივერსიტეტი (RUB), გერმანიის სამთო ტექნოლოგიების კონცერნი (DMT), გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი

მიღებულია N 5022
12 06 2013
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
რუსთაველის გამზირი 3
თბილისი 0105
ტელეფონი: 99 80 22
ფაქსი 98 21 33

info@museum.ge
www.museum.ge

3, Rustaveli Avenue
0105 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 99 80 22
Fax: +995 32 98 21 33

(DAI), ფრაიბერდის სამთო აკადემია, ფოლკსაგენის ფონდი (VW Stftung), საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრი (CNRS), ამერიკის, იტალიისა და ბევრი სხვა ქვეყნის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრები. ამ საკითხთან დაკავშირებით მოეწყო რამოდენიმე Workshop-ი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (2004 წ.) და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (2009 წ).

საყდრისის გათხრების მიმდინარეობის შესახებ სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე (გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის, იტალიის, თურქეთის, ამერიკისა და სხვ.). ყველა ამ პრეზენტაციასა თუ სიმპოზიუმზე აღინიშნებოდა საყდრისის როგორც მსოფლიოში უძველესი ოქროს წარმოების კერის განსაკუთრებული მნიშვნელობა და იგი სენსაციურად ჩაითვალა.

საყდრისში ჩატარებული სამცნიერო კვლევები გამოქვეყნებულია ნაწილობრივ სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტების შრომებში (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე).

ყოველივე ამის საფუძველზე გერმანიის სამეცნიერო საზოგადოებისა (DFG) და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნულმა სააგენტომ (ANR) 2012 წელს დააფინანსა მესამე პროექტი - "სამთამადნო წარმოება კავკასიაში". პროექტს ფინანსურად ეხმარება ასევე საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ცენტრი (CNRS).

2010 წელს გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმს, რურის უნივერსიტეტსა და გერმანიის სამთო ტექნოლოგიების კონცერნს შორის ერთობლივი სამეცნიერო და სასწავლო პროექტების განსახორციელებლად. მემორანდუმში ხაზგასმულია გერმანიის მხრიდან სამეცნიერო კვლევების თანამედროვე მეთოდური ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა და გერმანიის წამყვან უნივერსიტეტებში ახალგაზრდა კადრის მომზადება სამთო არქეოლოგიასა და არქეომეტალურგიაში. ასევე საქართველოს უნივერსიტეტებში ამ დარგების დანერგვა და სამეცნიერო ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით.

აქვე დავძენ, რომ საყდრისის აღმოჩენების მნიშვნელობისა და მაღალკვალიფიცირებული სამეცნიერო პოტენციალის გამო საქართველოს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა –"რუსთაველის ფონდმა" 2007 წელს დააფინანსა პროექტი "უძველესი მეტალურგია და სოციალური პროცესები კავკასიაში ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში". პროექტრის განხორციელებით მიღებული შედეგები აისახა 2010 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში "უძველესი მეტალუგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში". ამჟამად

მონოგრაფია თარგმნილია გერმანულ ენაზე და იბეჭდება გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ.
საქმე იმაშია, რომ 2004 წლიდან საყდრისის არქეოლოგიურ ექსპედიციას ინტერდისციპლინარულ კვლევებში დიდი დახმარება გაუწია სააქციო საზოგადოება "მადნეული"-ს შვილობილმა კომპანიებმა 2004 წლიდან "ჯორჯიან ტრანს რესურსეს" და შემდგომ "კვარციტმა"- რომლებმაც ინტერდისციპლინარული კვლევები აღჭურვეს საყდრისში ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებით, სადაც ნათლად იყო აღნიშნული გეოლოგიური აგებულება საყდრისი I –ყაჩაღიანის უბნისა. ამდენად, კვარციტმა ინფორმაცია საყდრისის აღმოჩენისა და მნიშვნელობის შესახებ - როგორც მსოფლიოში უძველესი ოქროს სამთამადნო წარმოების კერა – განათავსა თავის ინტერნეტ გვერდზე, როგორც ოქროს წარმოების ისტორია კვარციტის ხალიცენზიო ტერიტორიაზე. ამავე დროს, კვარციტმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიეღო საყდრისის მაღაროების –როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სამუზეუმო სივრცედ გადაქცევის პროექტში (იხ. დანართი 2)1.
2011-2012 წწ. კვარციტმა კანონის დარღვევით, სათანადო ნებართვის გარეშე ჩაატარა საძიებო-ბურღვითი და მიწის სამუშაოები საყდრისი I – ყაჩაღიანის უბნის ტერიტორიაზე, რომელიც ამ დროისათვის უკვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენდა. არქეოლოგიის ცენტრის მიერ ინფორმაცია ძეგლის ხელყოფის თაობაზე მიეწოდა კულტურის სამინისტროს, რასაც მოჰყვა კვარციტის გაფრთხილება (დანართი 1 და 3). 2011 წელს კვარციტმა სრული მზადყოფნა გამოთქვა დაზიანებული ძეგლების სანაცვლოდ საკომპენსაციო არქეოლოგიური სამუშაოების დაფინანსებაზე და კვლავ დაადასტურა საყდრისის სამუზეუმო სივრცედ მოწყობაში ფინანსურ მონაწილეობაზე (იხ. დანართი 2), მაგრამ კვარციტს არანაირი საკომპენსაციო სამუშაოები არ დაუფინანსებია.
2012 წლის სექტემბრიდან კვარციტი შეცვალა კომპანია RMG Gold-მა, რომელმაც ძეგლ საყდრისის ტერიტორიაზე კვლავ განახორციელა ფართო საძიებო სამუშაოები და დაზიანა ძეგლის ტერიტორია. ამის შესახებ კვლავ ეცნობა კულტურის სამინისტროს. კომპანიამ ამ პერიოდიდან მოყოლებული წამოიწყო აქტიური ქმედებები, საყდრისში ოქროს მოპოვებითი სამუშაოების წარმოების მიზნით, ძეგლის განადგურების გარდაუვალობის დასამტკიცებლად. წარმოიშვა ძეგლის სხვა ადგილზე გადატანისა და მის ადგილზე მადნის მოსაპოვებელი ღია კარიერის მოწყობის იდეა.
ამასთან, დაკავშირებით საყდრისის მიმდებარედ არსებულ შუა საუკუნეების ნასოფლარ აბულშუგის ტერიტორიაზე კანონის დარღვევით კომპანიამ წამოიწყო მადანგადამამუშავებელი სამუშაოების

ინფრასტრუქტურის მშენებლობა (დამბის, გამოსატუტი ფართობისა და მადნის სანაყარო ტერიტორიების მომზადება), რასაც შედეგად მოჰყვა არაერთი, სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ობიექტის დაზიანება. აბულმუგის ტერიტორიაზე ჩვენი პროტესტის შემდეგ კომპანიამ დააფინანსა ასათვისებელი ტერიტორიის არქეოლოგიური შეფასებითი სამუშაოები, როგორც ამას მოითხოვს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ".

ჩატარებული სადაზვერვო გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის მეტად საინტერესო არქეოლოგიური ობიექტი, რაც აისახა ჩვენს მიერ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში წარდგენილ დოკუმენტურ ანგარიშში.

სამუშაოების დამთავრებისთანავე კომპანიამ, ყოველგვარი ოფიციალური დასაბუთების გარეშე, შეაჩერა ჩვენთან თანამშრომლობა, ხოლო მისმა წარმომადგენელმა სიტყვიერად განაცხადა, რომ ამ ადგილზე სამუშაოების გაგრძელებას აზრი ექნებოდა მხოლოდ ძეგლ - საყდრისის ადგილზე მადანმომპოვებელი დიდ კარიერის მოწყობის შემთხვევაში.

კომპანია RMG Gold-მა 2013 წლის 17 აპრილის წერილის თანახმად არქეოლოგიური სამუშაოები ამ ტერიტორიაზე დაუკვეთა შპს "კლუბ ტაძარს", რომელმაც არქეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად მიიწვია სხვა სპეციალისტები. ამით, გარკვეულწილად შეილახა ჩვენი სამეცნიერო ინტერესები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ ნაბიჯებს ვაფასებთ, როგორც უნიკალური ძეგლის, საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროების განადგურების მცდელობას.

ბატონო გურამ, ჩვენთვის ცნობილია, რომ კულტურის სამინისტროში შექმნილია კომისია საყდრისის საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრები, ჩვენი აზრით, მოკლებული არიან საყდრისში ჩატარებული სეველე არქეოლოგიური და ინტერდისციპლინარული საერთაშორისო კვლევების შედეგებიდან მიღებულ ინფორმაციას. ამიტომ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი მზად არის ითანამშრომლოს კულტურის სამინისტროსთან, რათა კომისიას მიეწოდონ ობიექტური მონაცემები ძეგლის შესახებ, რომელიც დაფუძნებულია მრავალწლიან საერთაშორისო მეცნიერულ კვლევებზე.

სასურველი იქნებოდა კულტურის სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ კომპეტენტური დასკვნის უზრუნველყოფის მიზნით, მოიწვიოთ საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებში მოღვაწე სამთო არქეოლოგიის სპეციალისტები.

ასეთი სპეციალისტების მოწვევა მით უმეტეს აუცილებელია იმიტომაც, რომ კომპანია RMG Gold-ი ცდილობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, გერმანიის სამთო მუზეუმისა და საფრანგეთის

პრეისტორიული სამეცნიერო მისიის მიერ 2013 წლის
საველე კომპანიის შეფერხებას, რასაც მოჰყვება არა
მხოლოდ კულტურის სამინისტროს, საქართველოს
ეროვნული მუზეუმის, არამედ საერთოდ საქართველოს
სამეცნიერო წრეების პრესტიჟის შელახვა.
გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩვენი სამეცნიერო
დაინტერესება საყდრისის, როგორც დიდი ისტორიული
მნიშვნელობის არქეოლოგიური ობიექტის და
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ და მისი
შემდგომი ბედის განსაზღვრის დროს, ეროვნული
მუზეუმისა და საერთაშორისო სამეცნიერო წრეების მიერ
უკვე ჩატარებული სამუშაოების შედეგები.

პატივისცემით

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
არქეოლოგიის ცენტრის უფროსი

ზ. მახარაძე